საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 9329/01
01/09/2021

9329-01-2-202109011728

შპს „ჯდ კაპიტალის“ დირექტორს
ბატონ დავით ლევიძეს
მის: თბილისი, ზ. ავალიშვილის ქ. N8,
სადარბაზო N1, ბინა 114
ელ.ფოსტა: dj.business.gr@gmail.com

ბატონო დავით,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 3 აგვისტოს N13764 განცხადება, რომელიც ეხება შპს „ჯდ კაპიტალის“ მიერ რუსთავის გზატკეცილზე ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგურის) მშენებლობის პროექტს. გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო რეზერვუარისა და სასუნთქი სარქველების ტექნიკური პარამეტრები;
- საპროექტო ტერიტორიის ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ ნაკვეთზე წარმოდგენილია მრავალწლოვანი ხე-მცენარეები. შესაბამისად, დოკუმენტში განხილული უნდა იყოს მცენარეულ საფარზე ზემოქმედების საკითხები;
- წარმოდგენილი ინფორმაციის ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიაზე განთავსებულია შენობა-ნაგებობები. დაზუსტებას საჭიროებს, იგეგმება თუ არა პროექტის განხორციელების ეტაპზე აღნიშნული შენობა-ნაგებობების დემონტაჟი. ამასთან, დოკუმენტში განხილული უნდა იყოს შესაბამისი სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნისა და მართვის საკითხები;
- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ „აგს-ის სიახლოვეს სხვა მსგავსი ტიპის საწარმოსთან დაშორების გათვალისწინებით კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის”, თუმცა, დოკუმენტში დაზუსტებული არ არის მანძილი საპროექტო ავტოგასამართ სადგურსა და უახლოეს მსგავსი ტიპის ობიექტს შორის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშული შენიშვნების გათვალისწინებით სრულყოფილი სკრინინგის განცხადების წარმოდგენას შემდგომ.

პატივისცემით,

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე